

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

თამარ აღაპიშვილი

**„გარემოპირობების ზეგავლენა ადამიანის სოციალურ-ეკონომიურ ყოფაზე ზედა
პალეოლითში (საქართველოს ზეადპალეოლითური ძეგლების მიხედვით)“**

არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ავტორეფერატი

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ხახუტაიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მ. გაბუნია

ბათუმი

2021

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ალაპიშვილი

თემის აქტუალობა

ზედა პალეოლითი, ანატომიურად თანამედროვე ადამიანის (AMH) დედამიწაზე ბინადრობის ყველაზე ხანგრძლივი პრეისტორიული ეპიზოდია. კავკასია ის რეგიონია, სადაც *Homo Sapiens*-ის უძველეს მიგრაციებს და განსახლების პროცესებს ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, *Homo Sapiens*-ის მიგრირების და ახალ გარემოსთან ინტეგრირება-ადაპტაციის შესწავლის თვალსაზრისით, კავკასია პრეისტორიული ევრაზიის განუყოფელი ნაწილია.

მრავალწლიანი მულტიდისციპლინური კვლევების შედეგად შემუშავებულია საქართველოს ტერიტორიაზე გვიანპლეისტოცენში ანატომიურად თანამედროვე ადამიანთან ასოცირებული ზედაპალეოლითური კულტურის ქრონოლოგიის, სტრატეგრაფიის, გეოგრაფიის ზოგადი მონახაზი.

სამხრეთ კავკასიაშიც, ისევე, როგორც დანარჩენ სამყაროში, ანატომიურად თანამედროვე ადამიანის „თავგადასავლის“ ინდივიდუალური სცენარით განავითარება, გარკვეული მიზეზების ერთობლიობითაა განპირობებული. ერთ-ერთ კარგად გამოხატულ მიზეზად, რომელსაც ადამიანის ქცევაში ძირეული და მკვეთრი ცვლილებების გამომწვევა შეეძლო, გარემოს ზემოქმედება სახელდება.

კლიმატის და პალეოგარემოს ცვალებადობით გამორჩეულ გვიანპლეისტოცენის (50.000-11.000 წლები) ფინალურ ეპიზოდში ანატომიურად თანამედროვე ადამიანის „მოღვაწეობა“, საუკეთესო მოცემულობაა რეგიონალური მასშტაბით (დასავლეთ საქართველო) ადამიანის ქცევის ზოგადი მოდელის შესაქმნელად, ე.ი. გარემოპირობების ცვალებადობასა და ადამიანის ქცევას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადგენად. მოდელის მისაღებად შესძლებელია, ერთის მხრივ, საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების ბოლოდროინდელი კვლევების შედეგად გამდიდრებული სამეცნიერო საინფორმაციო ბაზის და მეორეს მხრივ, რეგიონში გამყინვარების მასშტაბების, პეიზაჟების გარდაქმნის, მყინვარების დეგრადაციის და სხვ. შესახებ არსებული კორექტირებული მოსაზრებების გამოყენება.

ნაშრომის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია, ზედაპალეოლითელი ადამიანის ქცევის მაპროვოცირებელი კონკრეტული ფაქტორების - გარემოს და მისი ცვლილებების ზემოქმედების კვლევა და იმის დადგენა, თუ როგორ რეაგირებდა ადამიანი გარემოს ცვლილებებით გამოწვეულ, მისი არსებობისთვის ხელისშემშლელ თუ ხელშემწყობ სხვადასხვა ფაქტორზე. როგორ იცვლებოდა მისი ქცევა ამ ცვლილებებთან მიმართებაში. ზოგადად, რა გავლენა მოახდინა გარემოპირობებმა სამხრეთ კავკასიაში ზედაპალეოლითური კულტურის იმ სახით ჩამოყალიბებაზე, როგორც ის ჩვენთვისაა ცნობილი; იმის შეფასება და შეჯამება თუ რამდენად შეცვალა ბოლოდროინდელმა სამეცნიერო დასკვნებმა საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის ქრონოსტრატიგრაფიის და გეოგრაფიის შესახებ არსებული დამკვიდრებული მოსაზრებები და რაში გამოიხატა ისინი.

კვლევის ამოცანები:

1. კარგად სრტატიფიცირებული და აბსოლუტური თარიღების მქონე ზედაპალეოლითური ძეგლების მონაცემების თავმოყრა, მათი ქრონო-სტრატიგრაფიული სქემის შექმნა. დღემდევარსებული ინფორმაციის ყველა წყაროს, მათ შორის, უახლესი პუბლიკაციების გამოყენება;
2. გვიანპლეისტოცენში სამხრეთ კავკასიის გარემოს ცვლილებების ბოლოდროინდელი კვლევების შესწავლა, იმის დადგენა თუ რა სიახლეებს გვთავაზობს თანამედროვე მეთოდებით ჩატარებული უახლესი კვლევები, ხომ არ შეინიშნება გარემოს ცვლილებებთან დაკავშირებით ძველი მიდგომების შეცვლის ტენდენციები (მოვლენების ხასიათი, ქრონოლოგია, ინტენსივობა);
3. არქეოლოგიური ძეგლების ქრონო-სტრატიგრაფიული ინფორმაციის შეჯერება გეოგრაფიულ/პალეოკლიმატურ მონაცემებთან;

4. დადგენა, თუ რა მიმართებაშია გამყინვარების მასშტაბების, პეიზაჟების ცვლილების, მყინვარების დეგრადაციის და სხვათა შესახებ მიღებული ახალი ცოდნა კავკასიაში ანატომიურად თანამედროვე ადამიანის საქმიანობის სტერეოტიპულ მოდელთან. ხომ არ იძლევა ის ადამიანის გარემოსთან ადაპტაციის და ინტეგრირების გაბატონებული სიუჟეტის შეცვლის შესაძლებლობებს?

5. განსაზღვრა, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან კავკასიაში და ევრაზიის დანარჩენ რეგიონებში გვიანპლეისტოცენური გამყინვარების შედეგად განვითარებული პროცესები, ხომ არ შეიძლება კავკასიასა და სხვა რეგიონებში განვითარებულ თანადროულ მოვლენებს შორის მკვეთრი განსხვავებების გამოყოფა?

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომში განხილული საკითხები საინფორმაციო წყაროდ გამოდგება კავკასიაში გვიანპლეისტოცენში განვითარებული იმ პროცესების კვლევისას, რომლებიც ზედა პალეოლითში ანატომიურად თანამედროვე ადამიანის გამოჩენას და აქ მისი ხანგრძლივი ცხოვრების ისტორიას, ასევე, შუადან ზედა პალეოლითზე გადასვლის ეპიზოდს ეხება. ნაშრომში წარმოდგენილი მულტიდისციპლინური შეფასებები და კომპლექსური კვლევის შედეგები (აქეოლოგია, პალეონტოლოგია, პალინოლოგია და სხვ.) შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს არა მხოლოდ პრეისტორიის, არამედ სხვა დისციპლინების მკვლევარებისთვისაც. ნაშრომი, როგორც დამხმარე საშუალება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სტუდენტების მიერაც.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან, ესენია: შესავალი, კვლევა და დასკვნა. კვლევა სამი თავით და ორი პარაგრაფითაა

წარმოდგენილი. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის და შემოკლებების სია.

ნაშრომის მოცულობა კომპიუტერულად ნაბეჭდი 112 გვერდია.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევო პრობლემის აქტუალობა; განსაზღვრულია კვლევის მიზანი და ამოცანები; გადმოცემულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მნიშვნელობა;

თავი I – (ზედა პალეოლითი საქართველოს ტერიტორიაზე) ორი პარაგრაფისგან შედგება, **§ 1-ში** - (საქართველოს ზედაპალეოლითის შესწავლის ისტორია) დაწვრილებითაა მოწოდებული ინფორმაცია საქართველოში ზედა პალეოლითის შესწავლის შესახებ, სათითაოდაა განხილული მისი ეტაპები და საქართველოს ტერიტორიაზე ამ კულტურის პერიოდიზაციის შემუშავების ისტორია;

§ 2 -ში (საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების დახასიათება) საქართველოს მრავალრიცხოვანი ძეგლიდან დახასიათებულია კვლევის ობიექტებად შერჩეული მხოლოდ კარგად სრტატიფიცირებული და აბსოლუტური თარიღების მქონე მღვიმე-ნამოსახლარები, ასევე, გამონაკლისის სახით ღია ტიპის რამდენიმე სადგომი.

ზედაპალეოლითური კულტურის და არქეოლოგიური ძეგლების დახასიათების გარდა, ამ თავში განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე ამ კულტურის გავრცელების თავისებურებები;

თავი II („ვიურმული“ გამყინვარება და მისი შედეგები კავკასიაში) განხილულია კავკასიაში დედამიწის გეოლოგიური წარსულის მეოთხეული პერიოდის გვიანპლეისტოცენის ფინალური ფაზის პალეოკლიმატის და პალეოეკოლოგიის საკითხები, მოთხრობილია „ვიურმული“ გამყინვარების შედეგებზე, მის გავლენაზე კავკასიის რეგიონში, გლაციოლოგების მიერ ჩატარებულ უახლეს კვლევებზე და გარემოს ცვლილებების ძველი მიდგომების შეცვლის ტენდენციებზე;

თავი III (რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული და გეოლოგიური დახასიათება, კლიმატის თავისებურებები) მოცემულია რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული და გეოლოგიური დახასიათება, განხილულია თანამედროვე კლიმატის თავისებურებები;

ნაშრომის დასკვნით ნაწილში არგუმენტების მოშველიებით ჩამოყალიბებულია კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მნიშვნელობა

ნაშრომში წამოჭრილი საკითხები და ზოგადად, ზედაპალეოლითური კულტურის აქტუალური თემები გაანალიზებულია კლიმატის და პალეოეკოლოგიის ცვლილებებთან მიმართებაში; კვლევა ფოკუსირებულია გვიანპლეისტოცენის ეკოლოგიური მონაცემების და ზედა პალეოლითის სამეცნიერო კვლევების შედეგების მჭიდრო ინტეგრირებაზე, - იმის დადგენაზე, თუ რა გავლენა მოახდინა გარემოპირობებმა კონკრეტულად ამ პრეისტორიული კულტურის თითოეული ეტაპის ფორმირებაზე.

საკვლევ ობიექტად შერჩეულია მულტიდისციპლინური თვალსაზრისით ყველაზე სრულყოფილად შესწავლილი ძეგლები, ესენია კარსტული გამოვლინებებით მდიდარი დასავლეთ საქართველოს რამდენიმე მღვიმური და რამდენიმეც ღია ტიპის დროებითი სადგომი, ასევე, ერთი ძეგლი სამხრეთ საქართველოდან. კვლევა კარგად სტრატეგიფიცირებულ და აბსოლუტური თარიღების მქონე ძეგლებს ეყრდნობა.

ზედაპალეოლითური კულტურის ობიექტივში პირველად ექვევა და ფართორეგიონალურ კონტექტში პირველად განიხილება სამხრეთ საქართველოს პრეისტორიულ ძეგლზე აღმოჩენილი გვიანპლეისტოცენის დასასრულის დროინდელი დასახლების კვალი. ამ სიახლით იცვლება საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების გეოგრაფიული საზღვრები, რომლებიც აქამდე მხოლოდ ქვეყნის დასავლეთ ნაწილით შემოიფარგლებოდა.

მულტიდისციპლინური კვლევების უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით, ნაშრომში წამოდგენილია საქართველოს და ზოგადად, კავკასიის ტერიტორიაზე ანატომიურად თანამედროვე ადამიანის „გამოჩენის“ და ზედა პალეოლითში ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობის განახლებული ქრონოსტრატიგრაფია.

ნაშრომის აპრობაცია

ნაშრომის აპრობაცია შესდგა 2021 წლის 27 ივლისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ისტორიის დეპარტამენტის გაერთიანებულ სხდომაზე.

წყარო

ნაშრომს საფუძვლად უდევს საქართველოს პალეოლითურ ძეგლებზე აღმოჩენილი არქეოლოგიური და ზოოარქეოლოგიური მასალა (კოლექციები), რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებშია დაცული, ასევე, გვიანპლეისტოცენის ფინალური ეტაპის სხვადასხვა მიმართულების კვლევა და ის პუბლიკაციები, რომლებიც კონკრეტულად საქართველოს ძეგლების შესწავლას ემსახურება

შესავალი

სამხრეთ კავკასია მსოფლიოს ის ნაწილია, სადაც ადამიანი ქვედა პლეისტოცენიდან სახლობდა. აქ პრეისტორიის ყველა ძირითადი კულტურული ეპიზოდია წარმოდგენილი, მათ შორისაა ზედა პალეოლითი, ანატომიურად თანამედროვე ადამიანის დედამიწაზე ბინადრობის ყველაზე ხანგრძლივი პრეისტორიული პერიოდი.

საქართველოში XIX საუკუნის ბოლოდან დაწყებულმა კვლევებმა რომლებიც ამ კულტურის ხასიათის, ქრონო-კულტურული მახასიათებლების და წინამორბედ თუ მომდევნო კულტურებთან კავშირების განსაზღვრას ემსახურებოდა, ბევრი საკვანძო

საკითხი შეისწავლა. ბოლო 30 წლის წინ განახლებულმა და დღემდე მიმდინარე ინტენსიურმა ინტერდისციპლინურმა საერთაშორისო კვლევებმა კი, შედეგებით და განსაკუთრებით, ბოლოდროინდელი აღმოჩენებით მნიშვნელოვნად გაზარდა სამხრეთ კავკასიის როლი ზედაპალეოლითური კულტურის ფორმირების გლობალურ პროცესში.

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ევრაზიაში ანატომიურად თანამედროვე ადამიანის გამოჩენის და „გაბატონების“ პერიოდს ნეანდერტალელის გაქრობის ისტორია ემთხვევა. ქრონოლოგიის თვალსაზრისით, ნეანდერტალელების გაუჩინარების და *Homo Sapiens*-ის დამკვიდრების პროცესი ევრაზიის სხვადასხვა ნაწილში არაერთგვაროვანი სცენარით ვითარდებოდა. თუ ჩვენი მოსაზრებები ამ მიმართულებით ადრე ძირითადად ჰიპოთეზებს ემყარებოდა, ახლა უკვე არსებობს კვლევები, რომელთა მიხედვითაც, ევროპის და აზიის მთელ რიგ ძეგლებზე უკვე ჩნდება გვიანშუაპალეოლითური და ადრეზედაპალეოლითური კულტურების მემკვიდრეობითობის უტყუარი ნიშნები, ასევე, უკვე შესაძლებლად განიხილება გვიანშუაპალეოლითური და ადრეზედაპალეოლითური პოპულაციების რამდენიმეათასწლიანი თანაარსებობის ფაქტებიც.

კავკასიაც (საქართველოს ტერიტორია), როგორც ევრაზიის ნაწილი, გვიანპლეისტოცენში პრეისტორიული ერთი კულტურის მეორეთი ჩანაცვლების ასპარეზად მოიაზრება. ისევე, როგორც ამ კონტინენტის ბევრ რეგიონში, ჩვენთანაც ეს პროცესი ანატომიურად თანამედროვე ადამიანის მიგრაციით და მისი ახალ გარემოში ინტეგრირება-ადაპტაციით უნდა დაწყებულიყო.

საქართველოს ტერიტორიაზე გაგვაჩნია არქეოლოგიური ძეგლი, სადაც *Homo Sapiens*-ის ოკუპაციის ქვედა ქრონოლოგიური ნიშნული ძალიან უახლოვდება ნეანდერტალელის ბინადრობის ფინალურ ასაკობრივ ზღვარს. ეს შემთხვევა კავკასიაში ზედაპალეოლითური ოკუპაციის ჯერჯერობით ყველაზე ადრეული გამოვლინებაა. იმ დროიდან მოყოლებული, მობილობით, ორგანიზებულობით და სხვა შემგუებლური უნარ-ჩვევებით გამორჩეულმა ანატომიურად თანამედროვე

ადამიანმა საქართველოს ტერიტორიაზე ათასწლეულების მანძილზე იცხოვრა და ზედაპალეოლითის ყველა ეტაპი გაიარა.

ანატომიურად თანამედროვე ადამიანის მრავალათასწლიანი ბინადრობის თავისებურებები, აქაც, ისევე, როგორც დანარჩენ სამყაროში, გარკვეული მიზეზების ერთობლიობითაა განპირობებული. ერთ-ერთ კარგად გამოხატულ მიზეზად, რომელსაც ადამიანის ქცევაში ძირეული და მკვეთრი ცვლილებების გამომწვევა შეეძლო, კლიმატის და ზოგადად, პალეოგარემოს ზემოქმედებაა, რომელიც ცვალებადობით სწორედ ჩვენს მიერ განსახილველ პრეისტორიულ ეპიზოდში გამოირჩეოდა.

ვიურმის სახელით ცნობილი გამყინვარება პლეისტოცენის ბოლო გამყინვარების პერიოდია. მისი ხანგრძლივობა დაახლოებით 100 ათასი წელი გაგრძელდა და ჰოლოცენის დაწყებამდე დასრულდა. ბოლო გამყინვარების მაქსიმუმი, როდესაც ყინულის მთლიანი მოცულობა მყინვარებზე უდიდესი იყო, დაახლოებით 26.500–19.000 წლებს შორის გაგრძელდა, გამოყოფენ ვიურმის რამდენიმე ფაზას, რაც ამ გამყინვარების სტადიალების (აცივების პერიოდი) და ინტერსტადიალების (დათბობის პერიოდი) ციკლურ ჩანაცვლებებს აღნიშნავს.

საკვლევად შერჩეულია: 1). პრეისტორიის ის ქრონოლოგიური ეპიზოდი, რომელიც ჰომინინების კონკრეტული ჯგუფის - *Homo Sapiens*-ის არსებობას უკავშირდება და ქრისტემდე დაახლოებით 50-11 ათას წლებს შორის მოქცეულ პერიოდს მოიცავს; 2). კონკრეტული არქეოლოგიური კულტურა - ზედა პალეოლითი; 3). კონკრეტული ტერიტორია - საქართველო.

კვლევა ფოკუსირებულია გვიანპლეისტოცენის ეკოლოგიური მონაცემების და ზედა პალეოლითის სამეცნიერო კვლევების ინტეგრაციაზე - იმის დადგენაზე, თუ რა გავლენა მოახდინა გარემოპირობებმა კონკრეტული პრეისტორიული კულტურის თითოეული ეტაპის ფორმირებაზე. ნაშრომში წამოჭრილი ზედაპალეოლითური კულტურის აქტუალური თემები ეკოლოგიასთან მიმართებაშია გაანალიზებული; ნაშრომი წარმოადგენს გვიანპლეისტოცენში მოსახლეობის გარემოსთან ადაპტაციის

მოდელის შემუშავებისა და მათი ეკოლოგიური ნიშების რეკონსტრუქციის მცდელობას.

თავი I

§ 1

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პალეოლითური ძეგლების შესწავლა ოთხ ეტაპად მიმდინარეობდა: I ეტაპზე, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე გაგრძელდა, კვლევებს შემთხვევითი და ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა; II ეტაპი 1926 წ-დან დაიწყო და ქვის ხანის სადგომების მეცნიერულ გათხრა-შესწავლას შედარებით სისტემატური ხასიათი მიეცა; XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, ქვის ხანის შესწავლის III ეტაპზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადრემიკვლევული ძეგლების შესწავლასთან ერთად, ინტენსიური სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოები გაიშალა. შედეგად, აღმოჩნდა ქვედა, შუა და ზედა პალეოლითის 400-ზე მეტი ძეგლი. დაიწყო მათი მეცნიერული შესწავლა, გამოიყო ქვის ხანის სხვადასხვა პერიოდის ლოკალური ჯგუფები, დაგროვებულ მრავარიცხოვან მასალას თავი მოეყარა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის და რეგიონალური მუზეუმების ფონდებში. სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი გახდა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არაერთი ძეგლი; IV ეტაპის კვლევები, რომლებიც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება, იმ დიდი ინტერესის შედეგია, რომელსაც ქართული და უცხოური სამეცნიერო წრეები საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული პალეოლითური კულტურების მიმართ იჩენენ. ერთობლივი საერთაშორისო საველე-არქეოლოგიური და ლაბორატორიული მულტიდისციპლინური კვლევების მიზანი საქართველოს პალეოლითის საკითხების მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ჭრილში განხილვა და შესწავლაა.

ზედაპალეოლითური ძეგლების კვლევა პალეოლითის შესწავლის ოთხივე ეტაპზე მიმდინარეობდა, დღესაც გრძელდება ამ კულტურის პერიოდიზაციის, ქრონომეტრიის, არქეოლოგიური მასალის ტიპო-ტექნოლოგიური მახასიათებლების

განსაზღვრის და სხვ. პროცესები. ახალი ძეგლების შესწავლასთან ერთად, მიმდინარეობს ათეულობით წლების წინ გათხრილი მღვიმეების რევიზია.

§ 2

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ზედა პალეოლითის შესწავლას კარგა ხნის ისტორია აქვს, სრულყოფილი კომპლექსური ინფორმაციით გამორჩეული ძეგლების რაოდენობა არცთუ ბევრია. ამ ფაქტს თავისი ობიექტური მიზეზები აქვს - ძეგლების დიდი ნაწილი გასული საუკუნეების იმ პერიოდებში ისწავლებოდა, როდესაც პალეოლითის კვლევის მეთოდები დღევანდელისგან განსხვავდებოდა და მულტიდისციპლინური ინფორმაციის არსებობის აუცილებლობაც არ არსებობდა.

სამწუხაროდ, რამდენიმე მღვიმურ ძეგლზე კულტურული ფენების აღარარსებობის გამო ამ ხარვეზის შევსება ახალი რევიზიონისტული კვლევებით უკვე შეუძლებელია, თუმცა, არსებობს ადრე შესწავლილი მღვიმეები შემორჩენილი ფენებით, რომელთა კვლევაც მომავლის საქმეა და ისეთებიც, სადაც განახლებული არქეოლოგიური კამპანიები ამჟამადაც წარმატებით მიმდინარეობს. შესწავლის პროცესშია ახლად აღმოჩენილი ძეგლებიც.

ზედაპალეოლითური „ოკუპაციის“ შემცველი შეგლებიდან წინამდებარე კვლევის ობიექტებად მხოლოდ დასავლეთ საქართველოს კარგად სრტატიფიცირებული და აბსოლუტური თარიღების მქონე არქეოლოგიური ობიექტები შევარჩიეთ. გამონაკლისია ღია ტიპის რამდენიმე სადგომი (დასავლეთ საქართველო), თარიღების უქონლობის მიუხედავად, მათი კვლევაში ჩართვა გვიანპლეისტოცენში ადამიანის განსხვავებულ ზონალობაში არსებობის საილუსტრაციოდ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად, ასევე, განვიხილეთ სამხრეთ საქართველოში აღმოჩენილი ერთი ძეგლიც.

ზედაპალეოლითური მღვიმური სადგომი **ძუძუანა** მდებარეობს იმერეთის პლატოზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მღვიმევის ტერიტორიაზე, მდინარე

ყვირილას მარჯვენა შენაკადის ნიკრისას ხეობაში, მდინარის დონიდან 10-12 მ სიმაღლეზე (აბსოლუტური სიმაღლე 560 მ), მღვიმე გამოიმუშავებულია ზედა ცარცულ კირქვებში, სიგრძე - 160 მ, სიგანე შესასვლელში 22 მ, სიმაღლე - 15 მ. აქვს აღმოსავლეთ-დასავლეთ ორიენტაცია, დღის სინათლე მღვიმეში აღწევს 60 მეტრამდე.

მეგლი 1966 წელს აღმოაჩინა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბ-ნ დავით თუმბრაძის ხელმძღვანელობით.

მეგლზე გამოიყო 8 ლითოლოგიური და 7 კულტურული ფენა, რომლებიც I, II და III ლითოლოგიურ დასტებში გაერთიანდა (დღევანდელი ნუმერაციით B, C და D ფენები, B-ში შედის I-III, C-ში - IV-VI, და D-ში VII-VIII ფენები).

1983 წელს ძუბუანას კვლევა თ. მემველიანის ხელმძღვანელობით განახლდა.

მეგლზე შესწავლილია ორი, ე. წ. ზედა და ქვედა უბნები.

ქვედა უბნის ჭრილი ოთხ მთავარ სტრატეგრაფიულ ერთეულად იყოფა (A-D). ზედა უბანზე კი, ძირითადად C და D და ადგილადგილ B ფენები ფიქსირდება.

მღვიმეში აღმოჩენილმა კულტურულმა ფენებმა (B, C, D) გამოავლინა ზედა პალეოლითის ერთმანეთისგან ათასწლეულებით დაშორებული ოკუპაციის სამი ეპიზოდი. მეგლის ქრონოსტრატეგრაფია კარგად ასახავს ზედა პალეოლითის იმ პრეისტორიულ ეპიზოდებს, როცა მღვიმეს ანატომიურად თანამედროვე ადამიანი იყენებდა.

D ფენის ასაკი 34.500-32.200 cal BP-ში ექცევა; C ფენა 27.000-24.000 cal BP-ით, ყველაზე ახალგაზრდაა B ფენა კი, - 16.500-13.200 cal BP-ით თარიღდება.

ძუბუანაში დაფიქსირებულმა ქრონოლოგიურმა წყვეტილებმა კარგად განსაზღვრა მღვიმის "ოკუპაციების" პერიოდები, ამ წყვეტილების არსებობის მიუხედავად, მეგლზე დაფიქსირებულია ქვის ლოკალური ტექნო-ტიპოლოგიური

ტრადიციის უწყვეტობა. სწორედ ეს გარემოებები წარმოადგენს ძეგლის თავისებურებას.

მუშუანას ქრონო-სტრატოგრაფიული სქემის თანმიმდევრობა სამხრეთ კავკასიის ზედაპალეოლითური კულტურის რეკონსტრუქციის კარგ საშუალებას იძლევა. ის აქ არსებული ზედა პალეოლითის უწყვეტობა-ცვალებადობის, კავკასიის სხვა რეგიონებთან მისი კავშირების და სხვა საკვანძო საკითხების გასარკვევად საუკეთესო წყაროა.

საწურბლიას მღვიმე მდებარეობს სათაფლია-წყალტუბოს კარსტულ მასივზე, მდინარე სემის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 270 მ სიმაღლეზე, სოფელ ყუმისთავის ტერიტორიაზე, ქვედა ცარცული ასაკის მასიური ტექსტურის მქონე ნაცრისფერ პელიტომორფულ კირქვებში და გააჩნია ჩრდილო-აღმოსავლეთის ექსპოზიცია. მღვიმე 1975 წელს აღმოაჩინა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქუთაისის მხარის ქვის ხანის შემსწავლელმა ექსპედიციამ პროფ. ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით. მღვიმეში არქეოლოგიური სამუშაოები 1976, 1985-1988, 1990-1993 წლებში გაგრძელდა და მას უკვე კ. კალანდაძე ხელმძღვანელობდა.

საწურბლიას მღვიმეში ენეოლითის, ნეოლითის და ზედა პალეოლითის კულტურული ფენებია გამოვლენილი: 2008 წლიდან მღვიმეში არქეოლოგიური სამუშაოები საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, თ. მეშველიანის ხელმძღვანელობით განახლდა და 2015 წლის ჩათვლით გაგრძელდა.

საწურბლიას მღვიმეში ბოლო საველე კამპანიების დროს გათხრილ A (მღვიმის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი, შესასვლელთან) და B (მღვიმის უკანა მხარე, 1990-იან წლებში კ. კალანდაძის მიერ გათხრილი თხრილის მიმდებარე კვადრატები) უბნებზე ზედა პალეოლითის და ასევე, ჰოლოცენის დროინდელი ფენები აღმოჩნდა.

საწურბლიას A/I, A/IIa, A/IIb, A/III კულტურული ფენებიდან A/IIa და A/IIb 17.900-16.200 cal BP-ით, ხოლო A/III 25.500-24.400 cal BP-ით დათარიღდა.

B უბნის B/I, B/II, B/III, B/IVa, B/Vb, B/V ფენებიდან B/III და B/IVa ფენების ასაკი 25.500-24.400 cal BP, ხოლო B/IVb-B/V-ის 32.200-31.500cal BP-ია.

საწურბლიას ზედაპალეოლითური ფენების აბსოლუტურმა თარიღებმა გამყინვარების ბოლო მაქსიმუმამდე (A/III, B/III, B/IV, B/IVb, B/V) და მაქსიმუმს შემდეგ (A/IIa და A/IIb) არსებული ვითარება ასახა, შესაბამისად, გვიანპლეისტოცენში მღვიმეში ადამიანის დასახლების სამი ეპიზოდი აღმოჩენილი.

მართალია, საწურბლიას ქვის კომპლექსების ანალიზი სრულად გამოქვეყნებული არ არის და B/V ფენაც ბოლომდე გაუთხრელია, მაგრამ, ამ ვითარებაშიც კი, ოკუპაციებს შორის არსებული დროის დიაპაზონის ხანგრძლივობის მიუხედავად, თვალსაჩინოა სხვადასხვა ფენის ქვის კოლექციების ძირითადი მახასიათებლების მსგავსება.

ძუძუანას ოკუპაციის სამი ეპიზოდიდან (34.500-32.200 cal.BP; 27.000-24.000 cal.BP; 16.500-13.200 cal.BP) საწურბლიას მღვიმისთვის სამივეა ცნობილი (32.200-31.500 cal. BP, 25.500-24.400 cal. BP; 17.900-16.200 cal. BP).

Sites	Dzudzuana	Satsurbila	Coincidence episodes
Occupation episode	16.500-13.200 cal.BP B layer 3300	17.900-16.200 cal. BP 1700	16.500-16.200 cal.BP
Hiatus	24.000-16.500 cal. BP	24.400-17.900 cal. BP	24.000-17.900 cal.BP
Occupation episode	27.000-24.000 cal.BP C layer 3000	25.500-24.400 cal. BP 1100	25.500-24.400 cal.BP
Hiatus	32.200-24.000 cal.BP	31.500-24.400-cal. BP	31.500-24.400-cal. BP
Occupation episode	34.500-32.200 cal.BP D layer 2300	32.200-31.500 cal. BP 700	32.200 cal. BP

ამ ძეგლებზე დასახლების ეპიზოდების დროში სინქრონულობა, მეტ-ნაკლები აცდენების მიუხედავად, თვალსაჩინოა, ადგილი აქვს კულტურულ სინქრონიზმსაც. თუმცა, საწურბლიას მღვიმის A/IIa და A/IIb ფენებში ძუძუანას B ფენისგან განსხვავებული, აღმოსავლეთ ევროპის ეპიგრავეტის მსგავსი კულტურული (ტექნოლოგიური) ვარიანტიც აღმოჩნდა, რომელიც სწორედ იმ „გამოტოვებულ“

ტექნოტიპოლოგიურ ნაირსახეობას უნდა წარმოადგენდეს, რომლის არსებობაც საქართველოს ზედაპალეოლითის ინდუსტრიაში აქამდე აღმოჩენილი არ ყოფილა, თუმცა, მისი არსებობა ივარაუდებოდა.

საწურბლიას მღვიმის ერთ-ერთ თავისებურებად კარგად შემონახული საცხოვრებელი დონეების, ე.წ. "იატაკების" არსებობაც სახელდება, ანთროპოგენიული პროცესების შედეგად ფორმირებული ამ შრეების ადგილმდებარეობა ზედა პალეოლითის სამ განსხვავებულ ეპიზოდში მღვიმის სივრცითი ვარიაციების შესწავლის შესაძლებლობას იძლევა.

ბონდის მღვიმე 2007 წელს აღმოჩნდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ძველი ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ნ. თუმაბრამიშვილი). ის მდებარეობს ქალაქ ჭიათურიდან 5 კილომეტრში, სოფელ წირქვალის ტერიტორიაზე, ყვირილას შენაკადის, თაბაგრების ღელეს მარჯვენა ნაპირზე, მდინარიდან 30 მ-ის სიმაღლეზე. მღვიმის აბსოლუტური სიმაღლე - 477 მ-ია.

ბონდის საერთო ფართობი დაახლოებით 101 მ²-ია. სამხრეთის მხარეს არსებული შესასვლელის სიმაღლე 9 მ-დეა. მღვიმის სიღრმე - 11 , სიგანე - 7 მეტრია.

2007-2010 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აქ დაახლოებით 3 მ სიმძლავრის რვა ლითოლოგიური ფენა გაითხარა.

ბონდის სახით არქეოლოგიური ძეგლების რიგს შეემატა შუა და ზედაპალეოლითური ფენების შემცველი ძეგლი, რომელიც, საინტერესოა არა მხოლოდ ქრონოსტრატიგაფიული მონაცემების, არამედ ანატომიურად თანამედროვე ადამიანის კბილის აღმოჩენითაც (Vb ფენა), რომლის ასაკიც ბაიესის მოდელის საფუძველზე 39.000-35.800 cal. BP (95.4%)-ით განისაზღვრა. კბილის კონტექსტის საიმედოობის შემთხვევაში, შესაძლოა ის კავკასიაში მორფოლოგიურად თანამედროვე ადამიანის ყველაზე ძველი კბილი აღმოჩნდეს.

ძეგლზე დაფიქსირებული რვა ლითოლოგიური ფენიდან VIII და VII შუაპალეოლითურია, VI სტერილური, V-II ფენები კი, ზედაპალეოლითთან

ასოცირებული. I ფენა არეულია და გვიანდელი ეპოქების დროინდელ არტეფაქტებს შეიცავს. მასალით განსაკუთრებით მდიდარია და V (Va, Vb, Vc, Vd), IV და II ფენები.

ბონდის მღვიმეში ზედაპალეოლითური ოკუპაციის უადრესი კვალი დაახლოებით 40.000 cal. BP-დან ჩნდება (Vd) და აქ მისი არსებობა 17.000 cal BP-მდე (III), ან სავარაუდოდ უფრო ხანგრძლივად გრძელდება.

რადიოკარბონული ქრონოლოგიის მიხედვით, VII და V ფენებს შორის რამდენიმე ათასწლიანი ჰიატუსის არსებობა ივარაუდება. VI ფენისთვის მიღებული თარიღი, რომელიც დაახლოებით 50.000 cal BP-ს უახლოვდება, ქრონოლოგიურად ახლოსაა VII ფენის თარიღებთან. სწორედ ამ 10000 წლიანი პაუზის გამო უნდა გამოირიცხოს მღვიმეში ანატომიურად თანამედროვე ადამიანის მიერ ნეანდერტალელის სწრაფად ჩანაცვლების შესაძლებლობა.

ბოლოდროინდელი კვლევებიდან მიღებული მოდელირებული თარიღების მიხედვით, ბონდში ზედაპალეოლითური ოკუპაციის უწყვეტობა შეინიშნება. თუმცა, თუ მხოლოდ აბსოლუტური თარიღების მონაცემებს დავყვრდნობით, შესაძლებელია, 40.000-38.000 (Vb, Vc, Vd), 36.000-34.000 (Va), 31.000 (IV) და 17.000 (III) cal BP-ს დროით განსაზღვრული ოკუპაციური ეპიზოდების და მათი გამმიჯნავი ჰიატუსების არსებობაც დავუშვათ.

ორთვალა კლდე

ორთვალა კლდე ორდარბაზიანი ეხია, ორივე დარბაზის საერთო სიგანე 35 მ-ია, სიღრმე-14,5 მ, სიმაღლე დიდი დარბაზის ცენტრში 7 მ-ია, შესასვლელში 2 მ. მღვიმეს აღმოსავლეთის ექსპოზიცია აქვს, ის მშრალი და ნათელია.

მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდი რგანის ტერიტორიაზე, მდინარე ყვირილას მარჯვენა შენაკადის, ჭერულას მარჯვენა ნაპირზე, მდინარის ხეობიდან 35 მ, ზღვის დონიდან კი, 530 მ სიმაღლეზე.

ორთვალა კლდე 1973 წელს აღმოჩნდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის რიონ-ყვირილას აუზის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი დ. თუშაბრამიშვილი). დ. თუშაბრამიშვილმა ორთვალა კლდის

ორივე ეხში იმუშავა, მისი ხელმძღვანელობით გაითხარა ჩრდილოეთის ეხის წინა ფართობი და სამხრეთის ეხის დიდი ნაწილი.

ექსპედიციამ 1993 წლიდან ნ. თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით სამხრეთის ეხში გააგრძელა მუშაობა.

ძეგლის ამ უბანზე აღმოჩენილია 11 ლითოლოგიური ფენა, მათ შორის, არის ზედა და შუაპალეოლითური ოკუპაციების კვალი. II და III ფენები ზედა პალეოლითის ხანას მიეკუთვნება, IV ფენა შუადან ზედა პალეოლითზე გარდამავალ ფენად ითვლებოდა, მაგრამ 1997-2001 წლების კვლევებმა ეს ფენა ზედა პალეოლითის პერიოდს მიაკუთვნა, მისი გარკვეული ნაწილი კი დარღვეულად, ქვის ინდუსტრიის კომპლექსები (შუა და ზედაპალეოლითური) კი, არეულად ჩაითვალა.

2006 წელს ორი უბნის (ჩრდილოეთის და სამხრეთის) ქრონოსტრატიგრაფიის კორელაციის მიზნით ჩრდილოეთის ეხში საველე-არქეოლოგიური სამუშაოები განახლდა, რომელმაც შუაპალეოლითური სამი და ზედაპალეოლითური ფენა გამოავლინა. ამ უკანასკნელიდან არსებობს ძვლის ნიმუშზე ^{14}C მეთოდით მიღებული ერთი თარიღი (OxA-X-2464-51: 19.600 ± 130 , $d13c$ 18.5).

ორთვალა კლდის განახლებული ქრონოლოგია ტეფროქრონოლოგიური მონაცემების, რადიოკარბუნულ ახალ თარიღებთან და ბაიესის ასაკობრივ მოდელთან (OxCal) ინტეგრირების შედეგად შემუშავდა.

ამ მოდელმა ორთვალა კლდის შუა პალეოლითის ფინალური ეტაპი $\sim 47.500 - 44.200$ cal BP-ს მიუახლოვა და ადრეზედაპალეოლითის ასაკი $\sim 46.700-43.600$ cal BP-ით განსაზღვრა.

შემოთავაზებული მოდელი კავკასიაში გარდამავალი პერიოდის ჯერჯერობით ყველაზე ადრეულ ასაკს წარმოგვიდგენს, უახლესი კვლევა დაახლოებით 10 000 წლით აძველებს ანატომიურად თანამედროვე ადამიანის გამოჩენის დროს რეგიონში. აღსანიშნავია, რომ მსგავსმა თარიღებმა სამხრეთ-დასავლეთ აზიის და აღმოსავლეთ ევროპის ძეგლებზეც დაიწყო გამოჩენა.

ამ ქრონოლოგიური ინფორმაციის და არქეოლოგიური, სტრატეგრაფიული და ტაფონომიური მონაცემების ერთობლიობა მეცნიერებს ავარაუდებინებს, რომ ორთვალა კლდეში: (1) ძვლის და ქვის ადრეზედაპალეოლითურ ტექნოლოგიებს ფესვები გვიანშუაპალეოლითში არ ეძებნება; (2) გვიანშუაპალეოლითური ტექნო-ტიპოლოგიური კომპლექსი ადრეზედაპალეოლითური ტექნოლოგიების გაჩენასთან კავშირში არ უნდა იყოს.

ორთვალა კლდის ზედა პალეოლითის სტრატეგრაფია, (ისევე, როგორც შუა პალეოლითის) ძირითადად სამხრეთის უბნის მონაცემებით განიხილება. ჩრდილოეთის ეხის ფუნდამენტურად შეუსწავლელობის გამო, ორი უბნის ფენების კორელაცია (ურთიერთდამოკიდებულება) ჯერჯერობით დაუდგენელია.

ორთვალა კლდის ზედაპალეოლითური ფენების (II, III და IV) ნუმერაცია ზემოდან ქვემოთ ლითოლოგიური ფენების ნომრებს ემთხვევა, IV ფენა ოთხი ქვეფენისგან - 4a, 4b, 4c, 4d შედგება. ძვლის ერთ-ერთი თავისებურება ზედაპალეოლითური ოკუპაციის არაინტენსიური ხასიათია, რაც ძალიან განსხვავებულია ამავე ეხის შუაპალეოლითური დასახლებებისაგან.

ზედაპალეოლითური ყველაზე ადრეული მეოთხე ფენა (4a, 4b, 4c, 4d) ქვის კოლექციის და ფაუნისტური მასალის მიხედვით, ადრეზედაპალეოლითურია. არქეოლოგიური და ოსტეოლოგიური მასალის დიდი წილიც სწორედ ამ ფენაზე მოდის. ზედაპალეოლითური ოკუპაციის კვალი ძველზე 4d ფენიდან ჩნდება. არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალის თვალსაზრისით ყველაზე მდიდარი 4c, 4d ქვეფენებია.

მესამე და მეორე ფენები არქეოლოგიური და ზოოარქეოლოგიური მასალით მწირია. ის ფენების მხოლოდ ზედა შრეებშია კონცენტრირებული. მესამე და მეორე ფენებს გააჩნია ქვედა, დაახლოებით 10 სმ სისქის შრეები, რომლებიც ორივე ფენის შემთხვევაში სტერილურია. ამ ორ ზედაპალეოლითურ ფენას ერთმანეთისგან კირქვის პლატფორმისებური შრეც გამოყოფს.

უახლესი ქრონოლოგიური ინფორმაცია ორთვალა კლდეში ზედაპალეოლითური ოკუპაციის ზოგად მონახაზს გვთავაზობს. ის ძეგლზე ზედაპალეოლითური კულტურის არსებობის საზღვებს 46,735-43,589 cal.BP – 25237- 16000 (?) cal.BP-ში აქცევს. მართალია, სტრატეგაფიული ინფორმაციით ზედაპალეოლითურ ფენებს (2/3, 3 /4) ერთმანეთისგან სტერილური შრეები გამოყოფს, მაგრამ კვლევის ამ ეტაპზე, ქრონოლოგიურ ჭრილში ამ ეპიზოდების დაზუსტება რთულია.

კოტიას კლდის მღვიმე ჭიათურის რაიონის სოფელ სვერში, სამალისხევის ხეობაში, მანდაეთის პლატოზე მდებარეობს. მღვიმე კარსტულია, მისი სიგანე 24 მ, სიმაღლე კი, 8 მეტრია, მღვიმის ჩრდილოეთ ნაწილში საკმაოდ გრძელი გალერეა შედის, რომლის სიგრძე დადგენილი არ არის.

კოტიას კლდის მღვიმე, როგორც ზედაპალეოლითური ძეგლი 2003 წლის არქეოლოგიური კამპანიის შედეგად გახდა ცნობილი, როცა ჭიათურა-საჩხერის ქვის ხანის შემსწავლელმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი თ. მეშველიანი) აქ საველე სამუშაოები დაიწყო. არქეოლოგიური გათხრები 2004-2006 და 2010 წლებშიც გააგრძელდა, თუმცა, მღვიმე სამეცნიერო წებებისთვის ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან იყო ცნობილი. ძეგლი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილას აუზის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი დ. თუშაბრამიშვილი) აღმოაჩინა და იქ ჩატარებული მცირემასშტაბიანი სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად განსაზღვრა კიდევ მისი კულტურული კუთვნილება, კოტიას კლდის მღვიმე მაშინ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლად ჩაითვალა.

განახლებული სამუშაოების შედეგად ძეგლზე დაფიქსირებულია სამი კულტურული ფენა: A, B და C. A ფენა ადრებრინჯაოს და ნეოლითის ხანას ეკუთვნის, B ზედა პალეოლითის ფინალურ ეტაპს, ხოლო C ფენა, ასევე, ზედა პალეოლითს, თუმცა, მისი შესწავლა აღარ გაგრძელდა.

აღსანიშნავია, რომ B ფენაში აღმოჩენილია ზრდასრული მამაკაცის სამარხი, რომლის ჩონჩხი სრულად არის შენარჩუნებული.

B ფენის რადიოკაბონული თარიღები კოტიას კლდის მღვიმეში ანატომიურად თანამედროვე ადამიანის ოკუპაციის დაახლოებით 10.000-12.000 cal.BP-ის ეპიზოდს გვთავაზობს.

გვარჯილას კლდე მდებარეობს იმერეთში, ჭიათურის მუნიციპალიტეტში სოფელ დიდი რგანის ტერიტორიაზე, მდინარე ჭერულას ღრმა ხეობაში, მის მარჯვენა ნაპირზე. მღვიმის სიგანე შესასვლელთან 14მ-ია, სიგრძე - 30.5მ, ხოლო მაქსიმალური სიმაღლე - 4მ.

გვარჯილას კლდე 1916 წელს დაზვერვების დროს აღმოაჩინა სტეფან კრუკოვსკიმ, იმავე წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები და გამოაქვეყნა წინასწარული შედეგები, რომელშიც მხოლოდ ზაფხულის სეზონის სამუშაოები აღწერა. 2019 წლამდე ეს ანგარიში გვარჯილას კლდეში კრუკოვსკის მიერ ჩატარებული სამუშაოების ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა.

კრუკოვსკიმ ძეგლზე 55კვ.მ ფართობი გათხარა, საველე სამუშაოები მღვიმის შესასვლელშივე საცდელი თხრილის შესწავლით დაიწყო და შემდეგ მღვიმის სიღრმისკენ გადაინაცვლა. ძეგლის განსხვავებულ ზონებში განსხვავებული სტრატეგრაფია დააფიქსირა.

მან თავდაპირველად, მღვიმის შესასვლელის სტრატეგრაფია განსაზღვრა, შემდეგ, მღვიმის შიგნით სამუშაოს გაგმელების დროს, 3.5მ სისქის კირქვოვან IV ფენაში "შეჭრილი" შავი ფენა აღმოაჩინა, ფენების ნუმერაცია არ შეცვალა და ახალ ფენას X უწოდა. მალევე მღვიმის სიღრმეში IV ფენის თავზე კიდევ ერთი კულტურული ფენა (XI) გამოჩნდა. ამრიგად, კრუკოვსკის მიერ განსაზღვრული ზედა კულტურული ჰორიზონტი, მისივე ნუმერაციით, შეესაბამება XI, ხოლო, ქვედა ჰორიზონტი - X ლითოლოგიურ ფენებს.

გვარჯილას კლდეში არქეოლოგიური სამუშაოები 1953 წელს ალექსანდრე კალანდაძემ და დავით თუშაბრამიშვილმა გააგრძელეს. ქართველმა არქეოლოგებმა კრუკოვსკისგან განსხვავებული სტრატეგრაფია შემოგვთავაზეს.

იმის გამო, რომ კრუკოვსკის თავისი კვლევის შედეგები სრულყოფილად არასდროს გამოუქვეყნებია, მეცნიერების დამოკიდებულება გვარჯილას კლდის სტრატეგრაფიის მიმართ, ყოველთვის ფრთხილი იყო. მათი ნაწილი ქვის კრუკოვსკისეულ კოლექციას, მისგან განსხვავებით, ერთი კულტურული ეპიზოდის კუთვნილებად განიხილავდა და ქრონო-სტრატეგრაფიული ნიშნით მისი დიფერენცირების საჭიროებას ვერ ხედავდა.

ძეგლის გათხრიდან თითქმის საუკუნის შემდეგ, ვარშავის სახელმწიფო არქეოლოგიურ მუზეუმში კრუკოვსკის ხელნაწერის აღმოჩენამ, რასაც გვარჯილას კლდეზე ახალი პუბლიკაციის მომზადება მოყვა, უფრო დამაჯერებელი გახდა სტრატეგრაფიის და მასალის კრუკოვსკისეული ინტერპრეტაცია.

კრუკოვსკის მიერ აღებული ძვლის და ნახშირის ნიმუშების თარიღებმა გვარჯილას კლდეში გვიანი ზედა პალეოლითის დასახლების ქრონოლოგიურად განსხვავებული ორი ჰორიზონტი გამოყო. ქვედა ჰორიზონტი კრუკოვსკისეულ X ფენას მიესადაგება და 19.700–18.800 cal. BP-ით თარიღდება, 15.800–14.700 cal. BP კი, ზედა XI ფენის სავარაუდო თარიღს წარმოადგენს. ახალი თარიღების მიხედვით, დასახლების ამ ორ ეპიზოდს ერთმანეთისგან დაახლოებით 3000 წლიანი ჰიატუსი გამოყოფს.

თარიღები სრულ თანხმობაშია კრუკოვსკის მიერ შემოთავაზებულ სტრატეგრაფიულ სიტუაციასთან, რომელიც სწორედ XI და X ფენებს შორის 25-85 სმ სიმძლავრის IV ლითოლოგიურ, კულტურული თვალსაზრისით სტერილურ ფენას მოიაზრებდა.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 1000 მეტს მიახლოებულ სიმაღლეზე **ღია ტიპის რამდენიმე სადგომია** გათხრილი. მათ შორის ორი, საბელასური და ახალსოფელი, ტყიბულის მახლობლად მდებარეობს, შაორი პირველი და შაორი მეორე, კი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ისინი 1980-იან წლებში შეისწავლა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თერჯოლა-ტყიბულის არქეოლოგიური ექსპედიციის პალეოლითურმა რაზმმა (ხელმძღვანელი გიორგი თორთლაძე). ყველა ძეგლზე აღმოჩნდა ქვის ზედაპალეოლითური

კოლექციები, მათი ფუნქციური მახასიათებლებით განისაზღვრა ძეგლების ხასიათი.

1977 წელს ჯავახეთში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფარავნის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილეებმა (ზ. ქიქოზე, ე. ქორიძე) ფარავნის ტბის ჩრდილო სანაპიროდან ერთი კილომეტრის დაშორებით, სოფელ როდიონოვკასთან ახლოს, ეხის ტიპის ბუნებრივი თავშესაფარი აღმოაჩინეს და **ფარავანი 2** უწოდეს. მათი შეფასებით, ძეგლი მეზოლითის ან უკერამიკო ნეოლითის დროინდელ დროებით სახელოსნოს წამოადგენდა.

ფარავნის ეხზე არქეოლოგიური სამუშაოები 2012 წელს განაახლა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჯავახეთის საერთაშორისო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელები ანა მგელაძე, კრისტინ შატენიე). ტერასის ფართობი, რომელზეც ეხი ფარავანი 2 მდებარეობს, 18 x 6-7 მეტრია.

2012-2014 წლებში ტერასაზე განივი და გრძივი თხრილები გაეწვო, მოიძებნა 1977 წლის სადაზვერვო თხრილის ადგილმდებარეობა და ასევე, გამოვლინდა ის ახალი პრეისტორიული ეპიზოდებიც, რომლებიც 1977 წლის გათხრების დროს აღმოჩენილი არ ყოფილა, ესენია: შუასაუკუნეები (XIII-XIV საუკუნეები); ქალკოლითი (ქრისტემდე V ათასწლეული); ზედა პალეოლითის ფინალური ფაზა (16.000-14.000 cal.BP).

გათხრების შედეგად, ადრეგამოვლენილ მეზოლითის თუ უკერამიკო ნეოლითის პერიოდებს დაემატა კიდევ ორი პრეისტორიული ეპიზოდი - ქალკოლითი და ზედა პალეოლითის ფინალური ეტაპი.

ფარავნის ეხზე აღმოჩენილი ქვის იარაღის უმრავლესობა ობსიდიანზეა დამზადებული. ნედლ მასალად გამოყენებული ობსიდიანი ძეგლიდან მხოლოდ რამდენიმე კმ-ით დაშორებული ჭიქიანის გამოსავლიდან უნდა მოდიოდეს. სხვა მასალიდან აღსანიშნავია კაჟი, დაციტი და ბაზალტი (იშვიათად).

ზედაპალეოლითური ინდუსტრია ლამელარულია, იარაღის უმრავლესობა დამზადებულია ლამელებზე და მათ ნატეხებზე, აქ აღმოჩენილი ნულკეუსები ორფუძიანია.

მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი მხოლოდ ნაწილობრივია შესწავლილი, მისი სტრატეგრაფიული მონაცემები და მასალის ანალიზი, ეხის დანიშნულებაზე გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის: ჭიქიანის ობსიდიანის გამოსავალთან ორი კილომეტრით დაშორებული, მკაცრი კლიმატური პირობებით და ბუნებრივი თავშესაფრების სიმწირით გამორჩეულ მხარეში არსებული ფარავნის ეხი, პრეისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, შეუძლებელია შეუმჩნეველი და აუთვისებელი დარჩენილიყო ადამიანების იმ ჯგუფების მიერ, რომლებიც ქვის იარაღის მისაღებად გამორჩეული თვისებების მქონე ობსიდიანის მოსაპოვებლად, შორ მანძილებსაც არ უშინდებოდნენ.

ჰოლოცენში და განსაკუთრებით, გვიანპლეისტოცენის ფინალურ ეტაპზე თავშესაფარი, ჯავახეთის მკაცრი კლიმატური პირობების გამო, სავარაუდოდ, წლის მხოლოდ მცირე მონაკვეთში უნდა ყოფილიყო საცხოვრებლად გამოსადეგი.

ამ ხანმოკლე პერიოდებში, ისევე, როგორც, მთა ჭიქიანი და მისი მიმდებარე ადგილები, ფარავნის ეხიც, თავის დანიშნულებით, „ობსიდიანის დასამუშავებელი“ დროებითი სადგომ-სახელოსნო უნდა ყოფილიყო. ეხის პერიმეტრის ჯერჯერობით სრულად შეუსწავლელობის პირობებშიც კი, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ განსხვავებულ პრეისტორიულ ეპიზოდებში (ზედა პალეოლითი, მეზოლითი, ნეოლითი, ქალკოლითი) ადამიანები ძეგლზე განსხვავებულ ფართობს ითვისებდნენ და იყენებდნენ სამუშაოდ.

თავი II

„ვიურმული“ გამყინვარება და მისი შედეგები კავკასიაში

ჩვენ პლანეტას ბევრჯერ განუცდია კლიმატის ძირეული ცვლილებები. დედამიწის გეოლოგიური წარსულის ბოლო მონაკვეთი - მეოთხეული პერიოდი გამყინვარების არაერთი გამოვლინებითაა ცნობილი. მათგან უკანასკნელი, გვიანპლეისტოცენის ფინალური ფაზის „ვიურმული“ გამყინვარებაა (თავისი სტადიალებით და ინტესტადიალებით), მისი არსებობა $\approx 115/120.000-14/11.000$ წლებს შორის ასევე დროის მონაკვეთს მოიცავს. ვიურმის გამყინვარების პიკად, ან, უფრო სწორად, ბოლო გამყინვარების მაქსიმუმად (LGM) $\approx 29.000-14.000$ წლების აციების პერიოდია მიჩნეული (ისევე, როგორც ვიურმის, ასევე, LGM-ს ქრონოლოგიური საზღვრები პუბლიკაციებში განსხვავებულადაა მოწოდებული). ამ უკანასკნელად მძლავრი გამყინვარების ფაზა პლეისტოცენური ეპოქის დასასრულს ემთხვევა. მის მომდევნო გეოლოგიურ ეპოქას ჰოლოცენი, ანუ გამყინვარების შემდგომი პერიოდი ეწოდება. ჰოლოცენის 2/3 ისტორიულ დროზე მოდის, სწორედ ამ დროს მიიღო ოკეანეებმა და კონტინენტებმა არსებული მოხაზულობა; ჩამოყალიბდა თანამედროვესთან მიახლოებული ბუნებრივი ზონები, კლიმატი, გეოგრაფიული გარსის სხვა კომპონენტები. ჰოლოცენში, გლობალური საშუალო ტემპერატურის აღმავლობის ტენდენციამ განაპირობა კაცობრიობის განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლა, მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდა, განსახლების არელების გაფართოვება.

კლიმატის ძირეული ცვლილებები იმდენად განაპირობებს გეოგრაფიული გარემოს შემდგომი განვითარების ხასიათს, რომ გამყინვარებამდელი პერიოდის დამთავების შემდეგ დედამიწაზე შესაძლოა მივიღოთ სრულიად ახალი გეოგრაფიული გარემო, ფლორისა და ფაუნის განსხვავებული სახეობების დომინირება, ან მათი გავრცელების არელების მნიშვნელოვანი ცვლილებები. გეოგრაფიულ გარსში მსგავსი მასშტაბური ხასიათის ცვლილებები (გამყინვარება და გამყინვარებათშორისი დათბობის პერიოდები) ციკლური ხასიათისაა და

განსხვავებული მასშტაბითა და ხანგრძლივობით დედამიწის ისტორიაში ისევ არაერთხელ განმეორდება.

კლიმატის პარამეტრების დროსა და სივრცეში ციკლური ცვალებადობის გავლენა იმდენად დიდია ადამიანის არსებობაზე, რომ მას შეუძლია განსაზღვროს ადამიანის მიერ ხმელეთის თავისუფალი სივრცეების ათვისების შესაძლებლობები. გამყინვარების პერიოდისთვის ეს გამოიხატება მაღალი განედებიდან დაბალი განედებისაკენ და მაღალმთიანი ტერიტორიებიდან უფრო დაბალი ადგილებისაკენ (ვერტიკალურ ჭრილში) მიგრაციულ პროცესებით; გამყინვარებათა შორის დათბობის პერიოდებში კი, საცხოვრებელი ტერიტორიების გაფართოვებით და სხვადასხვა ზონალობის დაკავებით.

ვიურმის დროს განვითარებული პალეო გამყინვარების პროცესები თავდაპირველად ალპების მაგალთზე შეისწავლეს. ბევრი მკვლევარი კავკასიის საკითხებს იმ ცნობილი სქემის მიხედვით ცდილობდა, რომელიც ალპების პალეო გამყინვარების მიხედვით იყო შემუშავებული. ისინი ალპების და კავკასიონის გამყინვარების შედეგებს ამ მასივების სხვადასხვა განედებზე მდებარეობის გაუთვალისწინებლად ადარებდნენ ერთმანეთს. ბუნებრივია, ის, რაც ალპებში ხდებოდა, სივრცითი მასშტაბის მიხედვით, კავკასიონისათვის იდენტური ვერ იქნებოდა.

არაერთი ფუნდამენტური კვლევის მიუხედავად, ვრცელი კონტინენტური გამყინვარებისა და გამყინვარებათშორისი ეპოქების ურთიერთმონაცვლეობის საკითხები ბოლომდე გარკვეული არ არის. არ არსებობს უტყუარი დასკვნები, რომლებიც ამ პროცესების სტრატეგრაფიის, ქრონოლოგიის და ინტენსივობის ზუსტ მონაცემებს ადადგენს. ამ მოვლენების განხილვისას მხოლოდ მიახლოებითი მაჩვენებლებით გვიწევს აპელირება.

მაშინაც კი, როცა განახლებულ კვლევებს აშკარად ეტყობა გაბატონებული ვერსიების ოდნავ შეცვლის ტენდენციები, მაინც ვერ იკვეთება ამ მოვლენების მაიდენტიფიცირებელი უფრო დაზუსტებული მონაცემები, რომლებიც ასე

მნიშვნელოვანია ზედა პლეისტოცენის ჩვენს მიერ განსახილველი ეპიზოდის არქეოლოგიური კუთხით შესწავლისთვის.

თავი III

რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული და გეოლოგიური დახასიათება, კლიმატის თავისებურებები

რეგიონის ჰავის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს მისი გეოგრაფიული მდებარეობა და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები წარმოადგენს.

იმერეთის რეგიონი დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და მისი საერთო ფართობი 6,6 00 კვადრატულ კილომეტრს უტოლდება, რაც მთელი საქართველოს ფართობის 19,4%-ს შეადგენს. რელიეფის თავისებურებების მიხედვით 2 ნაწილად: ზემო და ქვემო იმერეთად იყოფა. იმერეთის უდაბლესი ადგილის სიმაღლე ზღვის დონიდან 15-20 მ-ია და სოფელ საჯავახოსთან მდებარეობს, ხოლო უმაღლესი ადგილი, მთა ლებეურია, რაჭის ქედზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 2862 მ-ია. რეგიონის ჰიფსომეტრიული ამპლიტუდა 2847 მ-ია.

იმერეთს გააჩნია კარგად გამოკვეთილი ბუნებრივი საზღვრები, რომელთა საერთო სიგრძე 400 კილომეტრამდეა და მთებსა და ხეობებზე გადის. კერძოდ, ჩრდილოეთი საზღვარი რაჭის ქედს მიუყვება, აღმოსავლეთის ლიხის ქედს, სამხრეთის აჭარა-იმერეთის ქედს, ხოლო დასავლეთის, მდინარე ცხენისწყალს. იმერეთი სხვა სამხარეო ერთეულებს უკავშირდება მთელი რიგი უღელტეხილებით, მათ შორის აღსანიშნავია ნაქერალას (1235მ), შქმერისა (1805მ) და კვეშაბის უღელტეხილები (1711მ), რომლებიც იმერეთს რაჭასთან აკავშირებენ. შიდა ქართლთან დამაკავშირებელია რიკოთის უღელტეხილი, ხოლო მესხეთთან ზეკარისა და საირმის უღელტეხილები. მოსაზღვრე რეგიონებია: შიდა ქართლი,

სამცხე-ჯავახეთი, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი.

იმერეთის რელიეფის რთული იერსახის შექმნაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლითოლოგიურ-ტექტონიკურ პირობებსა და გეოლოგიური განვითარების ისტორიას. რეგიონის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე არსებული თითქმის ყველა სტრატეგრაფიული ფორმაცია დაწყებული ქვედა პალეოზოურიდან დამთავრებული მეოთხეულით (ანთროპოგენურით). აღნიშნული ფორმაციები აქ წარმოდგენილია დანალექი, ვულკანოგენური და მეტამორფული ქანებით.

საქართველოს კლიმატი დიდი მრავალგვარობით ხასიათდება. მცირე ტერიტორიის მქონე საქართველოში, სავანებისა და ტროპიკული ტყეების გარდა, ყველა სახის კლიმატია გავრცელებული - დაწყებული დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ნოტიო და აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი სუბტროპიკებიდან, დამთავრებული კავკასიონის მარადი თოვლის და მყინვარების კლიმატით.

დასკვნა

დასავლეთ საქართველოში (იმერეთი) ზედაპალეოლითურ დასახლებებზე არსებული ინფორმაცია ამ რეგიონში ამ კულტურის ქრონო-სტრატეგრაფიული საზღვრების განსაზღვრის საშუალებას იძლევა. უახლესი მონაცემებით, მისი ქვედა და ზედა მიახლოებითი ასაკობრივი კოორდინატები 46,735-43,589 cal.BP - 11.000 (?) cal.BP-ს უახლოვდება.

ოკუპაციური ეპიზოდების ხანგრძლივობის დადგენა, კი, იმ სირთულებების გათვალთისწინებით, რაც პალეოლითური ძეგლების კვლევას ახლავს თან (ფენების ფორმირების თავისებურებები, დასათარიღებელი ნიმუშების სიმწირე და სხვა,

ქრონომეტრული ინფორმაციის მისაღებად შექმნილი დაბრკოლებები), აძნელებს იმგვარი ინფორმაციის მიღების საშუალებას, რომელიც მეტი სიზუსტით განგვასაზღვრინებდა საკვლევ ძეგლებზე ანატომიურად თანამედროვე ადამიანის ე.წ. ოკუპაციების დაწყების და დასრულების ზუსტ დროს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დასკვნები ზოგადი ხასიათის მონაცემებს ეყრდნობა, არსებული ინფორმაცია სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ძეგლებზე ერთმანეთისაგან განსხვავებული, დამოუკიდებელი პრეისტორიული სიუჟეტების არსებობაში ეჭვი არ შევიტანოთ,

ოკუპაციების „მოზაიკური“ ქრონოსტრატიგრაფია კი, ზედა პალეოლითში (46,735-43,589 cal.BP - 11.000 (?) cal.BP) საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უწყვეტად არსებობას დავუკავშიროთ.

	ძუძუნა	საწურბლია	ბონდი	ორთვალა კლდე	კოტიას კლდე	გვაჯილას კლდე	ფარავანი
MIS 1	10.000 cal.BP	10.000 cal.BP	10.000 cal.BP	10.000 cal.BP	10.000 cal.BP	10.000 cal.BP	10.000 cal.BP
MIS 1	11.000 cal.BP	11.000 cal.BP	11.000 cal.BP	11.000 cal.BP	11.000 cal.BP	11.000 cal.BP	11.000 cal.BP
MIS 1	12.000 cal.BP	12.000 cal.BP	12.000 cal.BP	12.000 cal.BP	12.000 cal.BP	12.000 cal.BP	12.000 cal.BP
MIS 1	13.200 cal.BP	13.000 cal.BP	13.000 cal.BP	13.000 cal.BP	13.000 cal.BP	13.000 cal.BP	13.200 cal.BP
MIS 2	14.000 cal.BP	14.000 cal.BP	14.000 cal.BP	14.000 cal.BP	14.000 cal.BP	14.700 cal.BP	14.000 cal.BP
MIS 2	15.000 cal.BP	15.000 cal.BP	15.000 cal.BP	15.000 cal.BP	15.000 cal.BP	15.800 cal.BP	15.000 cal.BP
MIS 2	16.500 cal.BP	16.200 cal.BP	16.000 cal.BP	16.000 cal.BP	16.000 cal.BP	16.000 cal.BP	16.500 cal.BP
MIS 2	17.000 cal.BP	17.900 cal.BP	17.000 cal.BP	17.000 cal.BP	17.000 cal.BP	17.000 cal.BP	17.000 cal.BP
MIS 2	18.000 cal.BP	18.000 cal.BP	18.000 cal.BP	18.000 cal.BP	18.000 cal.BP	18.800 cal.BP	18.000 cal.BP
MIS 2	19.000 cal.BP	19.000 cal.BP	19.000 cal.BP	19.000 cal.BP	19.000 cal.BP	19.700 cal.BP	19.000 cal.BP
MIS 2	20.000 cal.BP	20.000 cal.BP	20.000 cal.BP	20.000 cal.BP	20.000 cal.BP	20.000 cal.BP	20.000 cal.BP
MIS 2	21.000 cal.BP	21.000 cal.BP	21.000 cal.BP	21.000 cal.BP	21.000 cal.BP	21.000 cal.BP	21.000 cal.BP
MIS 2	22.000 cal.BP	22.000 cal.BP	22.000 cal.BP	22.000 cal.BP	22.000 cal.BP	22.000 cal.BP	22.000 cal.BP
MIS 2	23.000 cal.BP	23.000 cal.BP	23.000 cal.BP	23.000 cal.BP	23.000 cal.BP	23.000 cal.BP	23.000 cal.BP
MIS 2	24.000 cal.BP	24.400 cal.BP	24.000 cal.BP	24.000 cal.BP	24.000 cal.BP	24.000 cal.BP	24.000 cal.BP
MIS 2	25.000 cal.BP	25.500 cal.BP	25.000 cal.BP	25.000 cal.BP	25.000 cal.BP	25.000 cal.BP	25.000 cal.BP
MIS 2	26.000 cal.BP	26.000 cal.BP	26.000 cal.BP	26.000 cal.BP	26.000 cal.BP	26.000 cal.BP	26.000 cal.BP
MIS 2	27.000 cal.BP	27.000 cal.BP	27.000 cal.BP	27.000 cal.BP	27.000 cal.BP	27.000 cal.BP	27.000 cal.BP
MIS 2	28.000 cal.BP	28.000 cal.BP	28.000 cal.BP	28.000 cal.BP	28.000 cal.BP	28.000 cal.BP	28.000 cal.BP
MIS 2	29.000 cal.BP	29.000 cal.BP	29.000 cal.BP	29.000 cal.BP	29.000 cal.BP	29.000 cal.BP	29.000 cal.BP
MIS 3	30.000 cal.BP	30.000 cal.BP	30.000 cal.BP	30.000 cal.BP	30.000 cal.BP	30.000 cal.BP	30.000 cal.BP
MIS 3	31.000 cal.BP	31.500 cal.BP	31.000 cal.BP	31.000 cal.BP	31.000 cal.BP	31.000 cal.BP	31.000 cal.BP
MIS 3	32.200 cal.BP	32.200 cal.BP	32.000 cal.BP	32.000 cal.BP	32.000 cal.BP	32.000 cal.BP	32.000 cal.BP
MIS 3	33.000 cal.BP	33.000 cal.BP	33.000 cal.BP	33.000 cal.BP	33.000 cal.BP	33.000 cal.BP	33.000 cal.BP
MIS 3	34.500 cal.BP	34.000 cal.BP	34.000 cal.BP	34.000 cal.BP	34.000 cal.BP	34.000 cal.BP	34.000 cal.BP
MIS 3	35.000 cal.BP	35.000 cal.BP	35.000 cal.BP	35.000 cal.BP	35.000 cal.BP	35.000 cal.BP	35.000 cal.BP

MIS 3	36.000 cal.BP	36.000 cal.BP	36.000 cal.BP	36.000 cal.BP	36.000 cal.BP	36.000 cal.BP	36.000 cal.BP
MIS 3	37.000 cal.BP	37.000 cal.BP	37.000 cal.BP	37.000 cal.BP	37.000 cal.BP	37.000 cal.BP	37.000 cal.BP
MIS 3	38.000 cal.BP	38.000 cal.BP	38.000 cal.BP	38.000 cal.BP	38.000 cal.BP	38.000 cal.BP	38.000 cal.BP
MIS 3	39.000 cal.BP	39.000 cal.BP	39.000 cal.BP	39.000 cal.BP	39.000 cal.BP	39.000 cal.BP	39.000 cal.BP
MIS 3	40.000 cal.BP	40.000 cal.BP	40.000 cal.BP	40.000 cal.BP	40.000 cal.BP	40.000 cal.BP	40.000 cal.BP
MIS 3	41.000 cal.BP	41.000 cal.BP	41.000 cal.BP	41.000 cal.BP	41.000 cal.BP	41.000 cal.BP	41.000 cal.BP
MIS 3	42.000 cal.BP	42.000 cal.BP	42.000 cal.BP	42.000 cal.BP	42.000 cal.BP	42.000 cal.BP	42.000 cal.BP
MIS 3	43.000 cal.BP	43.000 cal.BP	43.000 cal.BP	43.589 cal.BP	43.589 cal.BP	43.000 cal.BP	43.000 cal.BP
MIS 3	44.000 cal.BP	44.000 cal.BP	44.000 cal.BP	44.000 cal.BP	44.000 cal.BP	44.000 cal.BP	44.000 cal.BP
MIS 3	45.000 cal.BP	45.000 cal.BP	45.000 cal.BP	45.000 cal.BP	45.000 cal.BP	45.000 cal.BP	45.000 cal.BP
MIS 3	46.000 cal.BP	46.000 cal.BP	46.000 cal.BP	46.735 cal.BP	46.735 cal.BP	46.000 cal.BP	46.000 cal.BP
MIS 3	47.000 cal.BP	47.000 cal.BP	47.000 cal.BP	47.000 cal.BP	47.000 cal.BP	47.000 cal.BP	47.000 cal.BP

არქეოლოგიური ძეგლების „ოკუპაციის“ ეპიზოდები ზღვის იზოტოპურ ფაზებთან მიმართებაში.

ოკუპაციების არსებობა-არარსებობა, კლიმატური კატაკლიზმების და ზოგადად, კლიმატის მერტყეობის პროცესებში, ბუნების ამ მოვლენისადმი ადამიანის დამოკიდებულების ინდიკატორია. ჩვენს მიერ განსახილველი პრეისტორიული ეპიზოდისთვის, ზოგადად, სწორედ გამკაცრებული და შემდეგ გამოკეთებული კლიმატი მოიაზრებოდა ახალი დასახლებების შექმნის მიზეზად, თუმცა, არა ერთადერთად, რადგან არსებობს ალტერნატიული ვერსიებიც, მაგალითად: მღვიმების საცხოვრებლად გამოუსადეგრობა ტენიანობის მომატების გამო; ადამიანის ჯგუფებს შორის სოციალურ ან ეკონომიკურ ნიადაგზე დადებული შეთანხმებები; ანდაც იძულებითი მიგრაცია, სანადირო სივრცეების სხვა ჯგუფის მიერ ხელში ჩაგდების შემთხვევაში; ძეგლების დროებითი, მხოლოდ სანადირო ან სახელოსნო მიზნებისთვის გამოყენება და სხვ.

ძეგლების ათვისება-მიტოვების პროცესების ზღვის იზოტოპურ საფეხურებთან მიმართებაში განხილვის ჩვენმა მცდელობამ, იმერეთის ზედაპალეოლითური ძეგლები MIS3, MIS2, MIS1 ფაზებს შეუსაბამა.

MIS1(14.000-დღემდე) ჰოლოცენთან მიახლოებული პერიოდია და ამიტომ ზედაპალეოლითური ოკუპაციების ძალიან მოკლე ეპიზოდს ასახავს. MIS2 (29.000–14.000) აცივების ფაზაა (ფართე ხასიათის გამყინვარების ფაზა). სამ ფაზას შორის,

ძეგლები MIS2-ში ჩანს ყველაზე ინტენსიურად „ათვისებული“ და ამ დროს ყველა ძეგლზე შეინიშნება ადამიანის ცხოვრების კვალი; MIS3 (57.000–29.000) შუალედური (ან საშუალო) კლიმატის პერიოდია, სწორედ ამ ფაზას უკავშირდება კავკასიაში ანატომიურად თანამედროვე ადამიანის გამოჩენაც და მისი უძველესი ნამოსახლარებიც. ჩვენს მიერ განხილული ძეგლებიდან, MIS3-ში ოთხი ძეგლი იყო დასახლებული.

ყველა ფაზაში და განსაკუთრებით, MIS 2-ში ოკუპაციური ეპიზოდების არსებობა გვაფიქრებუნებს, რომ ამ პერიოდში კლიმატის ცვლილებები ნამდვილად უნდა ყოფილიყო ადამიანის დასავლეთ საქართველოში ბინადრობის ერთ-ერთი მაპროვოცირებელი გარემოება. აქვე უნდა ითქვას, რომ რადგან ძეგლების გეოგრაფიული სიახლოვის მიუხედავად, მათი ქრონოსტრატიგრაფია ხშირად განსხვავებულია, შეასაძლოა, ოკუპაციების თავისებურებები პალეოგარემოს ცვლილებისგან განყენებულ, სხვა მიზეზებსაც მივაწეროთ.

იმერეთის რეგიონში ანატომიურად თანამედროვე ადამიანის კვალი მისი მიგრაციის დაწყებიდან (დაახლოებით 47.000 BP-დან) პლეისტოცენის ბოლომდე არ გამქრალა, ის ამ დროის მანძილზე მუდამ არსებობდა.

ვიურმის გამყინვარების შედეგები ისეთი დრამატული არ უნდა ყოფილიყო კავკასიონზე, რომ ანატომიურად თანამედროვე ადამიანს საერთოდ დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია, ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, შერჩეული რეგიონი და ზონალობა მის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს ზოგადად აკმაყოფილებდა; ყველა ძეგლზე ვხვდებით ოკუპაციების ეპიზოდებს და შესაბამისად, ოკუპაციათაშორის ჰიატუსებს და ყველა ძეგლზე დასახლების თავისებური, ყველასგან განსხვავებული ციკლები არსებობს. შედარებით მსგავსებას ორი ძეგლი, ძუძუნა და და საწურბლია იჩენს, თუმცა, დროში აცდენები აქაც გვხვდება. შესაძლოა, ძეგლებზე ოკუპაციების ამგვარი „მოზაიკური“ გადანაწილება განსხვავებული ჯგუფების გარემო პირობებთან შეგუების განსხვავებულ სტრატეგიებზე მიგვანიშნებდეს, არაფერი რომ ვთქვათ ძეგლების

ფუნქციურ დიფერენცირებაზე, რომელიც ეფემერული, ანდაც ინტენსიური ოკუპაციების ფაზებით გამოიხატება.

მართალია, ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები მეცნიერულ კვლევებს ემყარება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ: 1). ჩვენს მიერ განხილული ზოგიერთი ძეგლი შესწავლის პროცესშია, ბოლომდე არაა გათხრილი, და შესაბამისად მათი ქრონოსტრატოგრაფიული მონაცემები არასრულია; 2). ბევრ ძეგლზე ახლაც მიმდინარეობს მულტიდისციპლინური კვლევები; 3). მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში მუდმივად მოსალოდნელი და შესაძლებელია ახალ-ახალი ტექნოლოგიების დახმარებით ათასწლეულების წინ დამალული ბევრი საიდუმლოს ამოხსნა და პრეისტორიული პროცესების ახლებურად ინტერპრეტირება.